(N4)

საქართველოს მთავარ პროკურორს

ბატონ შალვა თადუმაძეს

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურორს

ბატონ ნიკოლოზ სანიკიძეს

საქართველოს სახალხო დამცველს

ქალბატონ ნინო ლომჯარიას

საქართველოს პარლამენტს

დაზარალებულის უფლებამონაცვლის ქეთევან დარჩიას

საჩივარი

მოგახსენებთ, რომ შსს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს მეოთხე განყოფილებაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ზურაბ შოთაძის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით. დასახელებულ საქმეზე საპროკურორო ზედამხედველობას ახორციელებს ამავე რაიონული პროკურატურის პროკურორი - ქალბატონი ეკატერინე ჭაავა. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის უფლებამონაცვლედ მცნო პროკურორმა, როგორც გარდაცვლილი ზურაბ შოთაძის მეუღლე, დღეის მდგომარეობით დევნის განმახორციელებელი ორგანო არ იწყებს სისხლის სამართლებრივ დევნას იმ პირთა მიმართ, ვისაც ბრალი მიუძღვის ჩემი მეუღლის გარდაცვალებაში.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობს შემდეგში: 2017 წლის 08 აპრილს, საღამოს საათებში, დაახლოებით 23:00 საათზე, მე და ჩემი მეუღლე - ზურაბ შოთაძე, ვიმყოფებოდით ტაბახმელაში, ჩვენს საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც ზურა გახდა ცუდად. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავურეკე ხვიჩიას ქუჩაზე მცხოვრებ ჩემს შვილს - ანა შოთაძეს და ვთხოვე სასწრაფოს გამოძახება. დაახლოებით ნახევარ საათში, ანა თავის მეუღლესთან - ოთარ თავართქილაძესთან ერთად ამოვიდა ტაბახმელაში, ფაქტობრივად სასწრაფო სამედიცინო დახმარებასთან ერთად და მათ მიერ ადგილობრივად შემოწმდა პაციენტი, რომელსაც აღენიშნებოდა მაღალი წნევა და აწუხებდა გული, გაუკეთეს პირველადი მედიკამენტები, მაგრამ ვინაიდან ზურა კვლავ ცუდად გრძნობდა თავს, სასწრაფომ მიიღო გადაწყვეტილება,

რომ პაციენტი გადაეყვანათ კლინიკაში, კერძოდ ჩვენთან შეთანხმებით ზურა გადაყვანილ იქნა დიღომში მდებარე „ჯო ენი“-ს კლინიკაში. საავადმყოფოში შევედით დაახლოებით 01:30 საათზე, სადაც ჩემი მეუღლე მოათავსეს ბლოკში. ღამით ჩაუტარდა ანალიზები, შეფასდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და დაესვა დიაგნოზი - „გულის კორონარული დაავადება, მწვავე კორონარული სინდრომი, მიოკარდიუმის ინფარქტი ST-სეგმენტის ელევაციის გარეშე, არტერიული ჰიპერტენზია II”, რის გამოც დაიგეგმა კორონაროგრაფიული კვლევა. ჩატარდა სასწრაფო-გადაუდებელი კორონაროგრაფია, რის შემდგომაც ექიმ რუხაძის მიერ დაისვა დიაგნოზი - ინფარქტი. გვითხრეს, რომ საჭირო იყო ქირურგიული ჩარევა, კერძოდ - შუნტირების გაკეთება და ვინაიდან ჩვენ თანახმა ვიყავით ოპერაციის ჩატარებაზე, იმავე დღეს, დაახლოებით 18:00 საათზე ჩატარდა ოპერაცია, რაც გაგრძელდა ოთხი საათი, ანუ დასრულდა დაახლოებით 22:00 საათზე. ოპერაციის დასრულების შემდეგ, პირველ სართულზე ჩამოვიდა ქირურგი რუხაძე, რომელმაც გვითხრა იქ მყოფ ოჯახის წევრებს და ახლობლებს, რომ ოპერაციამ ჩაიარა კარგად და პაციენტი იმყოფებოდა რეანიმაციულ განყოფილებაში, ხოლო მისი მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ არანაირი გაფრთხილება ექიმის მხრიდან, რომ პაციენტი არ უნდა ამდგარიყო ფეხზე დამოუკიდებლად, მე ან რომელიმე ჩემი ოჯახის წევრს, არ მიგვიღია. ოპერაციიდან რამოდენიმე საათში, იმავე ღამეს დამრთეს ნება, მენახა ჩემი მეუღლე რეანიმაციაში, სადამდეც მიმაცილა დაცვის სამსახურის თანამშრომელმა, ჩამაცვეს შესაბამისი სამოსი და ვნახე ზურა, რომელიც იმყოფებოდა მართვით სუნთქვაზე და არ იყო კონტაქტური, ვინაიდან რამდენადაც ამეხსნა, ჯერ კიდევ იმყოფებოდა ნარკოზის ზემოქმედების ქვეშ. ბუნებრივია ღამით არ მომცეს პაციენტთან დარჩენის უფლება, ხოლო მეორე დღეს, დილით, ვიდრე ბლოკში გადაიყვანდნენ ჩემს მეუღლეს, კვლავ რეანიმაციულ განყოფილებაში ვნახე იგი, რა დროსაც აღარ იმყოფებოდა მართვით სუნთქვაზე, იყო კონტაქტური, თუმცაღა რამდენადაც ამეხსნა მედ-პერსონალის მიერ, მხედველობა ნარკოზიდან გამომდინარე, არ ჰქონდა სრულად აღდგენილი. ბლოკში მისი გადმოყვანა რეანიმაციიდან მოხდა 10 აპრილს, დაახლოებით 15:00 საათზე. აღნიშნული მე ვიცი გადმოცემით იქედან გამომდინარე, რომ როგორც დაცვა, ასევე მედ-პერსონალი არ იძლეოდა უფლებას, ყოფილიყავი პაციენტის თავმდგური და პაციენტის ნახვის შესაძლებლობა იყო მხოლოდ ე.წ „ნახვის“ საათებში. ვინაიდან ზურასთვის უნდა მიმეწოდებინა პირადი ნივთები, შუადღის საათებში თხოვნის შედეგად დამრთეს ნება, შევსულიყავი ბლოკში და მომენახულებინა მეუღლე, რა დროსაც ვნახე, რომ ის იყო საკმაოდ გაღიზიანებული, აღგზნებული, ყვიროდა ხმამაღლა, რაც მას არ სჩვევია და აღნიშნული მივიჩნიე არაბუნებრივად, მაგრამ ვინაიდან ახალი გამოსული იყო ნარკოზიდან, დავაბრალე ისევ ნარკოზის ზემოქმედებას მისი ეს ქცევა. ბლოკში ყოფნისას, ზურამ მთხოვა მივხმარებოდი მოშარდვაზე სპეციალური ჭუჭლით, რის გამოც საჭიროებდა ფეხზე ადგომას და ვკითხე კიდეც რამდენად ჰქონდა ეს ნებადართული, რაზეც მიპასუხა, რომ მედ-პერსონალის მხრიდან არ მიუღია ფეხზე ადგომის შეზღუდვაზე რაიმე სახის გაფრთხილება, პირიქით, რამდენადაც ზურამ მითხრა დართეს კიდეც მას ამის უფლება. ვინაიდან მსგავსი სახის გაფრთხილება არც ჩემთვის არ უთქვამს ექიმს, ან ექთანს, დავეხმარე ფეხზე წამოდგომაში, ხოლო თავად ზურა საკმაოდ სუსტად გრძნობდა თავს და ფეხები უკანკალებდა. გარდა ამისა, მას დრენაჟის მილები ჰქონდა გულის არეში ჩადგმული, რასაც თავის მხრივ ბოლოში ეკეთა საკმაოდ დიდი ზომის, მასიური კოლბა, რომელიც სწვდებოდა იატაკს და გადაადგილების შემთხვევაში იწვევდა ხმაურს. განვმარტავ, რომ ჩემს მეუღლეს ზოგადად აწუხებდა შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ ჰქონდა ხშირი

შარდვა, რაც აღნიშნულია „ჯო ენი“-ს კლინიკის მიერ მოწოდებულ ისტორიაშიც, ხოლო აღნიშნულ პრობლემას ზურა მკურნალობდა პერიოდულად „იუნონას“ კლინიკაში, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც ჩემს მიერ წარდგენილია საგამოძიებო ორგანოში და აქედან გამომდინარე გამიკვირდა, რომ ოპერაციის შემდგომ, მას არ ჰქონდა დატოვებული კათეტერი. საღამოს, ნახვის საათებში, კვლავ შევედი ჩემი მეუღლის სანახავად, რა დროსაც დამხვდა ისევ აგრესიული და აღგზნებული, რის გამოც მივმართე ექთანს და ვუთხარი, რომ მისი ესეთი მდგომარეობა არ იყო ბუნებრივი. იგივე ვუთხარი მორიგე ექიმსაც - გიორგი კაჭახიძეს, რომელთანაც შევედი ამის სათქმელად კაბინეტში, ორივე მათგანმა კი დამამშვიდა და ამიხსნა, რომ ნარკოზის ბრალი იყო პაციენტის მსგავსი აღგზნებული მდგომარეობა და მითხრეს, რომ გაუკეთებდნენ დამამშვიდებელს. კლინიკიდან წამოსვლამდე, მორიგე ექთანს გამოვართვი ნომერი და ვთხოვე დარეკვის შემთხვევაში ეპასუხა, რომ გამეგო პაციენტის მდგომარეობა. დაახლოებით საღამოს 22:00-23:00 საათისთვის, მე თავის კუთვნილ ტელეფონზე ჩემი კუთვნილი ნომრიდან დავურეკე თვითონ ზურას, რა დროსაც მიპასუხა და ვკითხე თუ როგორ იყო. მითხრა, რომ იყო იგივე მდგომარეობაში, აწუხებდა ჭრილობა და უჭირდა მხედველობა. ვთხოვე დაეძინა და მალევე დავუკიდე ყურმილი, ვინაიდან ისედაც წუხდა და არ მინდოდა ზედმეტად შემეწუხებინა. დაახლოებით გამთენიის 06:00 საათზე, საავადმყოფოდან დაურეკავთ ჩემი ქალიშვილისთვის ანასთვის და უთქვამთ, რომ ცუდად იყო ჩემი მეუღლე, რაც დაუყონებლივ შემატყობინა ანამ ტელეფონით და წავედით საავადმყოფოში. ადგილზე მისვლისას დამხვდა ჩემი ქალიშვილი, მალევე მოვიდა ჩემი მძახალი - მარინა თავართქილაძე, რომელმაც გვითხრა, რომ მთავარი ექიმი ავთანდილ ცინცაძე ჩამოვიდოდა 8 საათზე და აგვიხსნიდა სიტუაციას. ვიყავით პირველ სართულზე, ვინაიდან დაცვა არ გვიშვებდა მაღლა და ცინცაძე როდესაც ჩამოვიდა, გვითხრა, რომ პაციენტი იპოვეს საპირფარეშოში იატაკზე დაგდებული, იყო ცუდად, ვინაიდან დაკარგა დაახლოებით 2 ლიტრამდე სისხლი, სამედიცინო ჩარევის შედეგად მართალია აამუშავეს გული, თუმცაღა ამდენი სისხლის დაკარგვის ფონზე რამდენად სიცოცხლის უნარიანი იქნება ტვინი, ამის თქმა მას არ შეეძლო და იმ ეტაპისათვის გვითხრა, რომ ზურა იმყოფებოდა რეანიმაციულ განყოფილებაში. ამის მოსმენის შემდეგ, ჩემი მძახალი მარინა ავიდა ბლოკში, შევიდა საორდინატოროში, გამოელაპარაკა მორიგე ექიმს და უთხრა მოსულიყო ექთანი, რათა აეხსნა თუ რა მოხდა ღამით. ექთანი მოვიდა და თქვა, რომ მისგან დამოუკიდებლად პაციენტი ადგა ფეხზე, შევიდა საპირფარეშოში, სადაც ჩაეკეტა კარები, გაიგო ყვირილის ხმა და საპირფარეშოსთან მისვლიდან რამოდენიმე წუთში, კარების შემტვრევის გზით მოახერხეს პაციენტის გამოყვანა, ვინაიდან არ ჰქონდათ სათადარიგო გასაღები. ამ საუბრის დროს, მე ავტომატურად, ინერციით შევედი ბლოკის იმ პალატაში, სადაც იწვა ჩემი მეუღლე და ვნახე საპირფარეშოს კარები, რომელსაც დაზიანება არც საკეტზე და არც ვიზუალურად არ ეტყობოდა, მხოლოდ საფირფარეშოს კარის გამოღების დროს დავინაზე პატარა ზომის ჯოხი, ე.წ „პლანკა“ კედელზე მიყუდებული.

მეორე სართულზე განთავსებულ ე.წ მეორე ბლოკში სულ არის 2 პალატა, ხოლო ზურა იწვა შესასვლელიდან პირველივე ხელმარჯვნივ განთავსებულ პალატაში, რომლის ფართობიც არის დაახლოებით 30 კვ/მ. პალატის შესასვლელიდან ეგრევე ხელმარჯვნივ, განთავსებულია საპირფარეშო, რომელიც იმ დროისათვის შიგნიდან იკეტებოდა საკეტით, ხოლო შიგნიდან ჩაკეტილი კარის გაღება გარედან შესაძლებელი იყო მხოლოდ გასაღებით. დასახელებული პალატის ყველა კუთხეში, განთავსებული იყო საწოლი, შესაბამისად აღნიშნულ პალატაში სულ რამდენაცა მახსოვს, იყო 3 საწოლი, ხოლო რაც შეეხება ექთნის პოსტს, აღნიშნული

განთავსებული იყო აღწერილი პალატის შესასვლელიდან კორიდორის მიმართულებით, დაახლოებით 3-4 მეტრში. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ზურა იწვა პალატის შესასვლელიდან ხელმარჯვნივ გაყოლებაზე ბოლოში განთავსებულ საწოლში, საიდანაც საპირფარეშომდე გასავლელი არის დაახლოებით 3-4 მეტრი.

მის საწოლთან იყო ღილაკი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეეძლო გამოეყენებინა და ამის მეშვეობით დაეძახა ექთნისთვის, რაც ვცადე კიდეც პირადად მე იქ ყოფნის პერიოდში, რადგან რამდენადაც ავღნიშნე მინდოდა ექთნის გაფრთხილება ზურას ცუდად ყოფნის თაობაზე, მაგრამ ვინაიდან ვერ გავაგონე, მომიწია გარეთ გასვლამ და ექთნის ისე დაძახებამ. განვმარტავ, რომ ზარის ხმა რომელსაც მე დავრეკავდი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო გაეგო ექთანს, თუკი ის იჯდებოდა თავის პოსტთან. ამით იმის თქმა მინდა, რომ პალატიდან პაციენტის მიერ დარეკილ ზარს იმხელა ხმა არ აქვს, რომ ისმოდეს დიდ მანძილზე, თუნდაც პალატიდან პალატაში. ასევე ღილაკი იყო საპირფარეშოშიც სადაც იპოვეს ჩემი მეუღლე შეუძოდ მყოფი, საინტერესოა რატომ გაიგო მედძმამ პაციენტის ხმა რომელიც შველას ითხოვდა და არა ზარის ხმა. როგორც ცნობილია პროკურატურა იყო კლინიკაში გამოსაკითხად და ასევე აღჭურვილობის შესასწავლად თუმცა საგამოძიებო უწყებას არ აქვს პასუხი ისმის თუ არა ზარის ხმა შესაბამისად.

საქმეზე მოწმის სახით გამოკითხულია რეანიმაციული განყოფილების მედ-ძმა - გოგა ტყეშელაშვილი, რომელმაც განმარტა, რომ პაციენტის ყვირილის ხმა გაიგო პოსტ-ინტენსიური თერაპიის ბლოკიდან, რა დროსაც ადგილზე მისულს არ დახვდა ამ განყოფილების მორიგე ექთანი - ნინო დოხნაძე, რომელიც რამოდენიმე წუთში მოვიდა. გოგა ტყეშელაშვილის განმარტებით, მათ ვერ იპოვეს საპირფარეშოს კარის გასაღები, საიდანაც პაციენტი დახმარებას ითხოვდა, რომელიც ჯერ მოიძიეს პირველ სართულზე დაცვასთან და ვინაიდან ამ უკანასკნელსაც არ ჰქონდა სათადარიგო გასაღები, მოახდინეს კარის ძალის გამოყენებით გაღება. ყველა ექიმი, მათ შორის ავთანდილ ცინცაძე, ერთხმად აღიარებს, რომ დააგვიანდათ კარის გაღება, რის გამოც პაციენტს ვერ აღმოუჩინეს დროული სამედიცინო დახმარება, რის გამოც ჩემი მეუღლე სისხლისგან დაიცალა.

მომხდარიდან 2 დღეში, 13 აპრილს, დილის საათებში რეანიმატოლოგმა გვაცნობა, რომ პაციენტი ზურაბ შოთაძე გარდაიცვალა. ჩემი მეუღლის გარდაცვალებიდან მალევე, რამოდენიმე წუთში, მე, ჩემი შვილი - ლევან შოთაძე და ჩემი მეუღლის მეგობარი - ირაკლი ქავთარაძე, შევედით მთავარ ექიმთან ავთო ცინცაძესთან, რომლისგანაც გვინდოდა მიგვეღო პასუხი ძალიან ბევრ კითხვაზე, ხოლო ჩვენი საუბარი თავისი კუთვნილი მობილური ტელეფონით, კერძოდ აუდიო ჩაწერით, ჩაიწერა ჩემმა ჩვილმა ლევანმა, რომელი ჩანაწერიც ჩემს მიერ წარედგინა გამოძიებას. ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა ფეხზე ამდგარიყო პაციენტი ზურაბ შოთაძე, მთავარი ექიმი პასუხობს, რომ „შეიძლებოდა“! გარდა ამისა, მთავარი ექიმის განმარტებით, „მათ დააგვიანდათ კარის გაღება“, რის გამოც ბუნებრივია დაიკარგა დრო და ჩემი მეუღლე ფაქტობრივად დაიცალა სისხლისგან. ექიმი გარდა ამისა, საუბრობს, რომ პასუხისმგებელი პირია იგი მომხარზე და მზად არის აგოს პასუხი, თუმცა მიუხედავად ამისა, დღემდე არავინ არ საუბრობს არავის ბრალეულობასა და დამნაშავეობაზე.

პაციენტი ზურაბ შოთაძე არ ყოფილა არავის მხრიდან გაფრთილებული, რომ მას არ შეეძლო ამდგარიყო ფეხზე დამოუკიდებლად, არავის გავუფრთხილებივარ ამის შესახებ არც მე და

არც რომელიმე ჩვენი ოჯახის წევრი. გაურკვეველია ის გარემოებაც, თუ რატომ არ დატოვეს ესეთი მძიმე პაციენტი 24 საათის მანძილზე რეანიმაციულ განყოფილებაში და გადმოიყვანეს ბლოკში, თუკი გადმოიყვანეს რატომ არ მიაქციეს სათანადო ყურადღება, ხოლო ყურადღების მიქცევის რესურსი თუკი არ ჰქონდათ, რატომ არ გვითხრეს ოჯახის წევრებს, რომ დავრჩერნილიყავით და ჩვენვე მიგვექცია ჩვენი პაციენტისათვის ყურადღება. გარდა ამისა, მაშინ როდესაც პაციენტს ჰქონდა შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები და აწუხებდა ხშირი შარდვა, ჩემდა გასაოცრად არ ჩაუდგეს კათეტერი, მით უფრო მეტად თუ დავუშვებთ იმის ალბათობასაც, რომ თითქოსდა მედ-პერსონალის განმარტებით, პაციენტი შოთაძე არ უნდა ამდგარიყო ფეხზე. გარდა ამისა, საღამოს, კლინიკიდან ჩემს წამოსვლამდე გავაფრთხილე როგორც ექიმი, ასევე ექთანი, რომ ადამიანი არ იქცეოდა ბუნებრივად, იყო უჩვეულოდ აგრესიული, ჩემმა ქალიშვილმა ისიც კი უთხრა ექიმს, რომ მისი იქ ყოფნის დროს მამამისმა მოიგლიჯა სახეზე ლეიკოპლასტით მიმაგრებული მილი, რის გამოც პალატაში შეიყვანა მორიგე ექიმი და სთხოვა მიექციათ ზურასთვის განსაკუთრებული ყურადღება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პაციენტი შოთაძე საჭიროებდა მორიგე ექთისა და ექიმის მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას, თუმცა პასუხად ვიღებ იმ არგუმენტს, რომ ექთანს იმ ღამით ებარა 6 პაციენტი მოსავლელად, რაც კიდევ ცალკე დარღვევაა კლინიკისთვის. პაციენტი იხდის შესაბამის საფასურს იმისთვის, რომ მიიღოს სრულყოფილი მომსახურეობა კლინიკის მედ-პერსონალიდან, ხოლო მედ-პერსონალის სწორად და საჭირო რაოდენობით შერჩევა, ეშვალება უშუალოდ კლინიკას და მის ადმნისტრაციას. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული დასკვნით და აღნიშნულთან დაკავშირებით ითქვა პირველ არხზე გასულ გადაცემა „გამომძიებელ რეპორტიორშიც", ზურაბ შოთაძის გარდაცვალების მერე, „ჯოენი"-ს კლინიკაში დაამატეს როგორც ექთნის პოსტი, ასევე პოსტები შეიტანეს უშუალოდ პალატებში და საპირფარეშოს კარებს გარედან გაუკეთეს გასაღებები. ასევე ჩემთვის ცნობილია, რომ ზურას გარდაცვალებიდან მალევე, „ჯო ენი"-ს კლინიკაში აღარ მუშაობს ექიმი გიორგი კაჭახიძე, თუმცა პირადი განცხადებით წავიდა თუ გაანთავისუფლეს, ეს ჩემთვის უცნობია.

ყურადღებას გავამახვილებ იმ გარემოებაზეც, რომ მთავარ ექიმ ავთო ცინცაძესთან გასაუბრების დროს, ჩვენ მოვითხოვეთ კორიდორის კამერების ნახვაც, რათა დავრწმუნებულიყავით, რამდენად სიმართლეს შეესაბამებოდა ექთნისა და ექიმების ნათქვამი, რაზეც გვეთქვა უარი და აღნიშნული დიალოგი კარგად ისმის ჩემს მიერ საგამოძიებო ორგანოში წარმოდგენილ აუდიო ჩანაწერის დისკშიც. ხოლო რაც შეეხება სამედიცინო ისტორიის კლინიკიდან გამოთხოვას, 1 კვირა მოანდომეს თითქოსდა პაციენტის ისტორიის ტომის აკინძვას, რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ მოხდა ზურაბ შოთაძის სამედიცინო ისტორიის გასწორება იმ კუთხით, როგორც აწყობდა თავად „ჯო ენი"-ს კლინიკას.

საგამოძიებო ორგანომ, გამოკითხა ჯანდაცვის სამინისტროს ის წარმომადგენლები, რომლებმაც შეისწავლეს ზურაბ შოთაძის სამედიცინო ისტორია და რომელთაც დადეს დასკვნა იმის თაობაზე, რომ თითქოსდა კლინიკის მხრიდან არანაირი სახის დარღვევას არ ჰქონია ადგილი. დასახელებულმა პირებმა, განმარტეს, რომ არანაირი სახის საკანონმდებლო რეგულაციით არ რეგულირდება ის თუ, რამდენი ექთანი უნდა ჰყავდეს მორიგე ცვლაში საავადმყოფოს, როგორ უნდა იკეტებოდეს ან უნდა იკეტებოდეს თუ არა საერთოდ პოსტ-ინტენსიური ბლოკის საპირფარეშოს კარი, ანდა დაკეტვის შემთხვევაში უნდა არსებობდეს

თუ არა სათადარიგო გასაღები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ესეთ გადაუდებელ მდგომარეობაში კარის გაღება და რეალურად დროის მოგება. ქვეყანას, რომელსაც ჰყავს მთავრობა, რომელსაც ჰყავს საკანონმდებლო ორგანო - პარლამენტი და რომელსაც აქვს პრეტენზია ჯანდაცვის სისტემის გამართულობაზე, როგორ შეიძლება არ ჰქონდეს მოწესრიგებული ელემენტარულ დონეზე ისეთი ხასიათის საკითხები, რაც პირდაპირ კავშირშია ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან!!! ფაქტია მხოლოდ ერთი, რომ კლინიკისთვის, ისევე როგორც სახელმწიფოსთვის, მთავარია მხოლოდ პაციენტის მხრიდან ფულის გადახდა, ხოლო რეალურად რა ხარისხის მომსახურეობას მიიღებს იგი კონკრეტული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელიც მინიმალურ დონეზე ამცირებს ექთნისათვის გასაცემ სახელფასო ხარჯებს, ეს არ აინტერესებს არც სახელმწიფოს და მით უფრო არც ჯანდაცვის სამინისტროს, რომელიც სრულ თანადგომას უცხადებს კანონის დამრღვევ - ექიმებს და კლინიკის ადმინისტრაციას, რომელთა საამებლადაც წერენ ისეთ უპასუხისმგებლო დასკვნებს, რაც ცალსახად არღვევს პაციენტების, მოქალაქეების უფლებებს!!!

სამედიცინო ისტორიით დგინდება, რომ არ მომხდარა ზურაბ შოთაძისათვის კუჭის გამორეცხვა არც ოპერაციამდე და არც ოპერაციის მერე, ხოლო ჯანდაცვის სფეროს მოწმის სახით გამოკითხული წარმომადგენლები, ამ გარემოებას ხსნიან იმით, რომ თურმე პაციენტ ზურაბ შოთაძეს გადაუდებლად ჩაუტარდა ოპერაცია და ფიზიკურად დრო არ არსებობდა იმისათვის, რომ პაციენტთან ჩატარებულიყო ესეთი სახის მანიპულაცია. ჯერ მარტო ეს ფაქტი საკმარისია არგუმენტად იმისათვის, რომ ვისაუბრო ჯანდაცვის სამინისტროს მიკერძოებულობაზე, დანაშაულებრივ ქმედებაზე და უსამართლობაზე! არავის არ ვთხოვ ენდოს უპირობოდ მხოლოდ ჩემს სიტყვას, მაგრამ ხომ შეიძლება ჩემს გარდა ვინმემ, მათ შორის გამომძიებელმა და პროკურორმა, ჩახედოს პაციენტის სამედიცინო ისტორიას. პაციენტის სამედიცინო ისტორიით ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ზურაბ შოთაძეს კლინიკაში შესვლიდან, მინიმუმ 16 საათის შემდეგ ჩაუტარდა ოპერაცია და ნუთუ ამ დროში შეუძლებელი იყო, რომ პაციენტს გამორეცხვოდა კუჭი, რომლისთვისაც მინიმალურ დონეზეც კი არ შეიძლებოდა ჭინთვა, ვინაიდან ღია ჰქონდა მთლიანი ჭრილობა გულის მიმდებარე არეში. ყოვლად უსირცხილოდ აცხადებს ჯანდაცვა იმასაც, რომ პაციენტმა თურმე არ გამოიყენა ღილაკი და ექთნის გარეშე გავიდა თვითნებურად საპირფარეშოში, მაშინ როდესაც, ექთანი ადგილზეც კი არ იყო მაშინ, როდესაც ზურაბ შოთაძე საპირფარეშოში იმყოფებოდა და ითხოვდა შველას. სულ რომ მივსდიოთ ჯანდაცვის სამინისტროს ვერსიას, რომ არ დარეკა პაციენტმა ზარი საპირფარეშოში შესვლამდე, რა არგუმენტი აქვს ჯანდაცვას და გამოძიებას იმაზე, რომ ვერავინ გაიგონა იმ ზარის ხმა, რომელიც ირეკება უშუალოდ საფირფარეშოდან, მაგრამ ზურაბ შოთაძის მიერ გამოყენებულ ზარის ღილაკს ვერავინ ვერ გაიგონებდა სწორედ იმიტომ, რომ იმ ბლოკის ექთანი - ნინო დოხნაძე, საერთოდ არ იმყოფებოდა დროის იმ მონაკვეთში საკუთარ „პოსტზე“ და მის ნაცვლად ჩემი მეუღლის ყვირილი გაიგო სხვა ბლოკის მედდმამ - გოგა ტყეშელაშვილმა!!!

გარდა იმისა, რომ ჯანდაცვის სფერო წარმოადგენს ერთმანეთთან შეკავშირებულად მომუშავე კანონდამრღვევთა ჯგუფს, ამას ემატება საგამოძიებო ორგანოც და პროკურატურაც, რომელიც ჩვენი ქვეყნისვე სამარცხვინოდ, მცემს პასუხად მხოლოდ იმას, რომ თუკი ჯანდაცვის სამინისტრო ვერ გამოკვეთს და არ დაადგენს კლინიკის მხრიდან რაიმე სახის დანაშაულს, მათ არ შეუძლიათ დაადგინოდ არის თუ არა სახეზე რაიმე სახის დანაშაული და

შესაბამისად არ შეუძლიათ გამოკვეთონ დანაშაულის ჩამდენი პირი. იმისთვის არსებობს ქვეყანაში პროკურატურა და პოლიცია, რომ მათ სხვამ კი არ გამოუძიოს დანაშაული, არამედ თავად მათ მოახდინონ დანაშაულის გახსნაც და მისი ჩამდენი პირის გამოკვეთაც. მე, როგორც დაზარალებულის უფლებამონაცვლე, მოვითხოვ პროკურატურისაგან, მოახდინოს ამ საქმის დეტალური შესწავლა და შესაბამისი რეაგირება კონკრეტული პირის პასუხისგებაში მიცემის სახით, წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი მაქვს დასაკარგი და შევუერთდები იმ უკმაყოფილო ხალხის მასას, რომელთა ოჯახის წევრების საქმეებიც ან თაროზეა შემოდებული, ან არასათანადოდ იქნა გამოძიებული!

ასევე, მივმართავ სახალხო დამცველს, რომ სათანადოდ შეისწავლოს ჩემი მეუღლის მკვლელობის სისხლის სამართლის საქმე და მოიკითხოს საქმე არა მარტო პროკურატურაში საქმის მოკითხვისთვის, არამედ იმის გარკვევისთვის, რომ დაადგინოს თუ ვინ მფარველობს „ჯო ენი"-ს კლინიკას, თუნდაც ჯანდაცვის სამინისტროს, თუნდაც პროკურატურის და თუნდაც პოლიციის მხრიდან!

ვითხოვ დროულ რეაგირებას!!!

განმცხადებელი:

ქეთევან დარჩია

მის: ვაკის რაიონი, აბაშიძის 38, მე-8 სართული, ბინა 26

მობ: 577 422489